ოქმი:**ო12. 3723355001**

თარიღი:**21/12/2023**

ოქმი N 20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 21 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ბ. მელუა, დ. მდინარაძე, ნ. სარჯველაძე, ე. გორდელაძე, ხ. ცერცვაძე, გ. სირაძე, ხ. თავდიშვილი, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ მასში გათვალისწინებულია ის შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოთქმული იქნა განხილვის პროცესში, პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა პ. ჭყონია განაცხადა, რომ ბიუჯეტი დაიგეგმა 37,750 ათასი ლარით, კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც შევიდა კორექტირებულ პროექტში მთლიანად, ასევე ისაუბრა იმ შენიშვნებზე, რომლებიც კომისიას გააჩნდა ბიუჯეტის პროექტის მიმართ. პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მეორე საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიმდინარე წლის შესაბამის დადგენილებაში მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შეტანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის შესახებაც ინფორმაციას მოგაწვდით თანამომხსენებელი, პროექტში არსებობს ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომელზედაც იმსჯელა კომისიის სამუშაო ჯგუფმა და წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია მხარს დაუჭერს პროექტს. თანამომხსენებელმა ნ. გოლიაძემ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო დადგენილებაში შეტანილი ცვლილებები, მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი დააფინანსებს საზღვარგარეთ ბავშვების იმ ონკოლოგიური ოპერაციების ღირებულების 80% -ს, რომელიც საქართველოში არ კეთდება. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა -ხომ არ შეიძლება რომელიმე პროგრამით დაფინანსდეს პარაზიტული დაავადებების მკურნალობა , რომლებიც გავრცელებულია ბავშვებში? განუმარტეს, რომ ამჟამად შეუძლებელია. კომისიის წევრმა ბ. მელუამ აღნიშნა სოფელ მერიაში მომხდარ ტრაგედიაზე და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის დასასრულს ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს ესაუბრა პრაღაში მისი მივლინების შედეგებზე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი